წერილის ნომერი: **18-01191581518**
თარიღი: **07/06/2019**
პინი: **8594**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 30 მაისის #60-0119150250 წერილი (AR1676815) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ვლადიმერ გეთიაშვილის მომართვის საფუძველზე ქ. თბილისში, შესახვევი ქინძმარაულის II, #8 (ს.კ. #01.19.34.004.076)(ფუნქციური ზონა: სზ-6) არსებულ მიწის ნაკვეთში, IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 20 ერთეული (2 ძირი ცრუ აკაცია , 5 ძირი ცაცხვი ამერიკული, 2 ძირი ჭადარფოთოლა ნეკერჩხალი, 4 ძირი იფანი, 2 ძირი ცხენისწაბლი, 5 ძირი ღვია) მწვანე ნარგავი, სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (281 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

აქვე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

